ბრძანება:**ბ20. 2024173001**

თარიღი:**21/06/2024**

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“, „ა.ე“ „ე.ე“ ქვეპუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 პუნქტების და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. გორის მუნიციპალიტეტის მერიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდული განყოფილების მე-4 რანგის 1-ლი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ქეთი ჭულუხაძე.

2. ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს:

ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;

ბ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;

გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;

ე) მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ვ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.

3. ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია გორის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

4. უზრუნველყოფილ იქნას ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოფილ იქნას იგი შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას მისი დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებისას.

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მისი ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ეცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და პროაქტიულად გამოქვეყნდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა სამუშაო აღწერილობების დამდკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 აპრილის №20.2024117001 ბრძანების მე-4 პუნქტით დამტკიცებული გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდული განყოფილების მე-4 რანგის 1-ლი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ქეთი ჭულუხაძის სამუშაო აღწერილობის მარეგულირებელი ნორმები.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის მუნიციპალიტეტის მერიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 30 მაისის №20. 202415110 ბრძანება.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებებლია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. N30).

თამაზ შიოშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი